საქართველოს მთავრობის განკარგულება

№960 2015 წლის 15 მაისი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების
შპს „ნათენაძე ვაინს ენდ ბევერეჯისათვის“
პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხიზაბავრაში, „გომებში“ მდებარე 25 768 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ნივთის) საკადასტრო კოდი: №60.11.31.163); 133 964 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ნივთის) საკადასტრო კოდი: №60.11.31.173); 56 072 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ნივთის) საკადასტრო კოდი: №60.11.31.175) და ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხიზაბავრაში მდებარე 13 386 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ნივთის) საკადასტრო კოდი: №60.11.31.166) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 18 000 (თვრამეტი ათასი) ლარის გადახდის სანაცვლოდ, საკუთრებაში გადაეცეს შპს „ნათენაძე ვაინს ენდ ბევერეჯს“.

2. საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;

ბ) პირადად ან/და მესამე პირის მეშვეობით, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გადაცემული უძრავი ნივთების საერთო ფართობის არანაკლებ 40%-ზე არსებული ტერასების აღდგენა შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

ბ.ა) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 2 (ორი) წლის ვადაში გადაცემული უძრავი ნივთების საერთო ფართობის არანაკლებ 15%-ზე;

ბ.ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 4 (ოთხი) წლის ვადაში გადაცემული უძრავი ნივთების საერთო ფართობის არანაკლებ 40%-ზე;

გ) პირადად ან/და მესამე პირის მეშვეობით, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გადაცემული უძრავი ნივთების საერთო ფართობის არანაკლებ 30%-ზე ქართული (მათ შორის, მესხური) ჯიშის ვენახის გაშენება და საირიგაციო სისტემით უზრუნველყოფა შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

გ.ა) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 2 (ორი) წლის ვადაში გადაცემული უძრავი ნივთების საერთო ფართობის არანაკლებ 10%-ზე;

გ.ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 4 (ოთხი) წლის ვადაში გადაცემული უძრავი ნივთების საერთო ფართობის არანაკლებ 30%-ზე;

დ) პირადად ან/და მესამე პირის მეშვეობით, ამ პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით, არანაკლებ 450 000 (ოთხას ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

დ.ა) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 2 (ორი) წლის ვადაში არანაკლებ 150 000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით;

დ.ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 4 (ოთხი) წლის ვადაში არანაკლებ 450 000 (ოთხას ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით;

ე) ამ განკარგულების პირველი პუნქტით გადაცემულ უძრავ ნივთებზე ან/და მათ ნაწილზე, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 3 (სამი) თვეში არანაკლებ 5 (ხუთი) ადამიანის დასაქმება, არანაკლებ 4 (ოთხი) წლის ვადით;

ვ) ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ნივთებზე შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) წლის განმავლობაში, ყოველი წლის დეკემბრის თვეში, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის ინფორმაციის წარდგენა, ამავე განკარგულების დანართის შესაბამისად;

ზ) ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ნივთებზე, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) წლის განმავლობაში, 5 (ხუთი) წელიწადში ერთხელ, ნიადაგის ნაყოფიერების და ხარისხის შენარჩუნება-გაუმჯობესების გამოკვლევის მიზნით, ნიადაგის ანალიზის დამადასტურებელი დოკუმენტის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის წარდგენა.

3. შპს „ნათენაძე ვაინს ენდ ბევერეჯი“ ვალდებულია, ამ განკარგულების მეორე პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული, საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად (მათ შორის, ამ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის უზრუნველსაყოფად), შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე, წარადგინოს ამავე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინვესტიციის თანხის არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც ამ განკარგულების მე-2

პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადას (4 წელი) უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 4 (ოთხი) თვით.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

ინფორმაცია

საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ფართობზე პირველადი პროდუქციის წარმოება/რეალიზაცია

ფიზიკური/იურიდიული პირი	
რეგისტრაციის თარიღი/საიდენტიფიკაციო კოდი	
იურიდიული მისამართი	
საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ს/ს სავარგული სულ (მიუთითეთ ფართობი, სარწყავი/ურწყავი), მათ შორის:	
ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობი და წარმოებული პროდუქციის რაოდენობა (კულტურების და სახეობების მიხედვით) --- წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია (მიუთითეთ რაოდენობა და გასაღების ბაზარი) ---	
მრავალწლოვანი კულტურების წარმოება (კულტურების და ჯიშების მიხედვით) --- წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია (მიუთითეთ რაოდენობა და გასაღების ბაზარი) ---	
სილოსის და ცხოველთა საკვების წარმოება (ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურები/ბალახები) ნათესი ფართობები და წარმოება --- წარმოებული პროდუქციის მოხმარება/რეალიზაცია (მიუთითეთ რაოდენობა და გასაღების ბაზარი) ---	

საძოვარი (მიუთითეთ ფართობი და პირუტყვის (მსხვილფეხა (მათ შორის ფური)/წვრილფეხა) რაოდენობა) ---------- ---------- წარმოებული პროდუქციის წარმოება/რეალიზაცია (მიუთითეთ რაოდენობა პროდუქციის სახეობების მიხედვით (მათ შორის ცოცხალი პირუტყვი) და გასაღების ბაზარი) ---------- ----------
რა სახის ღონისძიებები გაატარეთ ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით? ---------- ----------
გაიარეთ თუ არა კონსულტაციები? (ვისთან) ----------